თბილისის არქიტექტურა

12.01.12 № 12/167811

№

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/62-1

ნებართვის გაცემის თარიღი „12" 01 2012 წ.
მშენებლობის დაწყების თარიღი 13 იანვარი 2012 წ.
ნებართვა ძალაშია 13 იანვარი 2013 წ.

დამკვეთი შ.პ.ს. „ბეო გრუპი"
(დასახელება)

მშენებლობის ობიექტი საცხოვრებელი კომპლექსი
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში (ნაკვ. №008/025)
(მისამართი / ადგილმდებარეობა)

სარეგისტრაციო №882011619039 21.12.11; საკადასტრო №01 /20 /01 /008/025
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჯ. შარტავას ქ. №7)
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ჯ. შარტავას ქ. №7)
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 04/63, 12.01. 2012 წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: ქ. ნიაური
(სახელი, გვარი)

ბ. ა. III და IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი
(თანამდებობა)

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჯ. შარტავას 7
ტელ.: +995 32| 272 22 22 ფაქს.: +995 32| 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/...

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/63

" 12 " 01 2012

ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში (ნაკვ. №8/22, №8/23 და №8/24) მოქ. ნათელა ხარაბაძის და შ.პ.ს. „ბეო გრუპი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №008/025), მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – შ.პ.ს. „ბეო გრუპი"
საპროექტო ორგანიზაცია – შ.პ.ს. „კონცეპტუალსტუდიო"
ავტორი – ზ. ხაჩიძე

საშუძველი: - განცხადება №12/167811-13, 09.12.11, 26.12.11.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა (სარეგისტრაციო №882011619039 21.12.11; საკადასტრო №01 /20 /01 /008/025)
- გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 31.07.06 წლის №37 ბრძანება არქიტექტურულ გეგმარებითი დავალების მომზადების თაობაზე.
- არქიტექტურულ გეგმარებითი დავალება №57
- გარდაბნის რაიონის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამსახურის 25.08.06 წლის №85 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.
- საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის სანებართვო მოწმობა. ნებართვა №0054, 31.01.07წ.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 10.10.08 წლის №01/1368 ბრძანება, პროექტის შეთანხმების შესახებ. 26.12.08 წლის №6/1974 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის №6/1974-1 სანებართვო მოწმობა
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 05.01.10 წლის ბრძანება №21, მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ. 15.09.10 წლის №01/2079 ბრძანება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ; 01.10.10 წლის №6/2417 ბრძანება მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის №6/2417-1 სანებართვო მოწმობა. 24.02.11 წლის №642 ბრძანება, მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
- ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 02.09.11 წლის №d1080-11 (№001207) დადგენილება, სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

III კლასის შენობა (რისკის საშუალო ფაქტორი

მიწის ნაკვეთის ფართი	–	5800.00 მ²
მოშენების ფართი	–	1766.36 მ²
საერთო ფართი	–	7793.59 მ²
მათ შორის:		
- ბინების ფართი	–	4582.25 მ²
- კიბის უჯრედის ფართი	–	126.94 მ²
- საზაფხულო ფართი	–	1028.96 მ²
- ავტოსადგომების ფართი	–	1640.05 მ²
- სარდაფის ფართი	–	415.39 მ²
სამშ. მოცულობა	–	97322.40 მ³

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების თანახმად,

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. მარტყოფის 7
ტელ.: (+995 32) 272 22 22 ფაქს.: (+995 32) 237 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.შეთანხმდეს: ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, სატყეო უბანში (ნაკვ. №8/22, №8/23 და №8/24)
მოქ. ნათელა ხარაბაძის და შ.პ.ს. „გეო გრუპი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №008/025),
მშენებარე საცხოვრებელი კომპლექსის კორექტირებული კორექტირებული არქიტექტურული
პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2012 წლის 13 იანვრიდან 2013 წლის 13 იანვრის
ჩათვლით.
4. დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე
იქონიოს სამშენებლო დოკუმენტის სათანადოდ დამოწმებული ეგზემპლარი და შემდეგი
დოკუმენტაცია, პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით:
4.1. საჭიროების შემთხვევაში შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთ(ებ)ის კვლევა
საქართველოს მთავრობის 24.03.2009 წლის №57-ე დადგენილების 35-ე მუხლის შესაბამისად;
4.2. კონსტრუქციული პროექტი, რომელიც შედგება შენობა-ნაგებობის ძირითადი
კონსტრუქციული სისტემის დეტალური პროექტისაგან, მათ შორის ფუძე-საძირკვლებისაგან;
4.3 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი ამ დადგენილების 61-ე მუხლის შესაბამისად.
5. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას
ქ. №7) ოფიციალური გაცნობიდან 1 თვის ვადაში

– მშენებლობის ეტაპები: კანალიზაციის მოწყობა; ავტოფარეხის კეთილმოწყობა; ტერიტორიის
კეთილმოწყობა; ზედა საყრდენი კედლის აშენება, გალესვა, შეღებვა.
– სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას
ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი
სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან
შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
– მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და
მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.
– შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე
წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ
შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი
იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
– მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება
ოქმის შემდგენელს.
– ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს
კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
– დამკვეთი ვალდებულია III, IV კლასების ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის
რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში
შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
– მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით
დადგენილი წესით.

სხვა სანებართვო პირობები

ა) თუ წარმოებული სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას,
ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი გასცემს
მითითებას „ტექნიკური საფრთხის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი
წესით.
ბ) მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონით
დადგენილი წესით.
დ) დამკვეთი ვალდებულია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს ან/და თანამდებობის
პირის მოთხოვნისთანავე უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული
დოკუმენტაციის გაცნობა.
ე) სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის
შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების
კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

III – IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი

კ. ნიაური